საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/05/2024
N 09-02-16/246

246-09-02-16-2-202405221632

ს.ს.ი.პ ,,შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსს ბატონ ბექა ფერაძეს

ბატონო ბექა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1. შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან შესწავლილი იქნა თუ არა 2023 წლიდან დღემდე ს.ს.ი.პ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი"-ში შრომის უფლებების დაცვის საკითხი, მათ შორის შეესაბამება თუ არა საქართველოს შრომის კოდექსსა და სხვა ნორმატიულ აქტებს თეატრის მიერ გაფორმებული შრომის ხელშეკრულებები, ასევე რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი შრომის კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები.
2. ს.ს.ი.პ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი"-ს მიერ დასაქმებულ პირებთან, მსახიობებთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულებები, არ შეესაბამება შრომის კოდექსის მოხოვნებს, უფრო მეტიც არღვევს გამოხატვის თავისუფლებას. გთხოვთ შეისწავლოთ რამდენად კანონიერია გაფორმებული შრომის ხელშეკრულებები, ასევე რამდენად სწორად ხდება შრომის ანაზღაურების დარიცხვა/გამოანგარიშება;
3. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით (რაც გავრცელდა მედიაში/სოც ქსელით), საქართველოს პარლამენტის მიერ რუსული კანონის ინიცირებასთან/მიღებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პოზიციის გამოხატვის გამო, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ, შრომის კოდექსთან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო შრომის ხელშეკრულებების საფუძველზე, უკანონოდ მოხდა, თეატრის მსახიობებისა და საქმებული პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება. გთხოვთ დაიწყოთ ადმინისტრაციული წარმოება და შესწავლილი იქნას თეატრის მიერ გაფორმებული, მოქმედი შრომის ხელშეკრულებები, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ის არ შეესაბამება კანონმდებლობას, მათ შორის ზღუდავს კონსტიტუციით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას, რამდენად კანონიერად მოხდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება თეატრის ადმინისტრაციის მხრიდან 2024

წლის განმავლობაში, ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ აუდიტის შედეგად შედგენილი აქტისა და რეაგირების დოკუმენტების ასლები;

4. ჩვენს ხელთ არსებული იფნორმაციით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა კატეგორიული მოთხოვნით და მუქარით აიძულა თეატრის თანამშრომლები წასულიყვნენ 2024 წლის 29 აპრილს, ქართული ოცნების მიერ ორგანიზებულ აქციაზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა. გთხოვთ შეისწავლოთ რამდენად ჰქონდა ასეთ ფაქტს ადგილი და იყო თუ არა დასაქმებული პირების აქციაზე წაყვანა ორგანიზებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ, ასევე მოგვაწოდოთ შესწავლის შედეგად შედგენილი დოკუმენტების ასლები;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა